საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოსებ ფლავიუსი

იოსებ ფლავიუსი (ლათ. – – Josephus Flavius) (დაახლ. 37, იერუსალიმი, – დაახლ. 95, რომი), ებრაელი ისტორიკოსი, წარმოშობით მაღალი სამღვდელოების წრიდან. აქტიურად მონაწილეობდა იუდეის სამეფოს *პოლიტ.* ცხოვრებაში. შემდეგ რომაელების მხარეზე გადავიდა და მმართველი დინასტიის – ფლავიუსების – პატივსაცემად ფლავიუსი დაირქვა. მან დაწერა ისტ. თხზულებები: „იუდეველთა ომი" (7 წიგნი, არამეულ ენაზე, შემდეგ ბერძნულად ითარგმნა), „იუდეველთა სიძველენი" (20 წიგნი, მოიცავს პერიოდს სამყაროს შექმნიდან იუდეველთა ომამდე), *თხზ.* „აპიონის წინააღმდეგ" (პოლემიკა I ს. ეგვ. მწერალ აპიონთან, რ-იც იუდეველებს შეურაცხყოფს), „ცხოვრება" (ავტობიოგრაფიული ნაწარმოები, რ-ითაც ი. ფ. ცდილობს თავი გაიმართლოს თავისი ხალხის ღალატის ბრალდებისაგან).

ი. ფ-ის თხზულებები ძვირფასი წყაროა ძვ. აღმ. და ხმელთაშუა ზღვის ხალხების ისტორიის შესასწავლად. მას აქვს ცნობები ქართველურ ტომებზე. ი. ფ-ის მოსაზრებით ბიბლ. თუ-ბალები მერმინდელი იბერები (ქართები) არიან: „თობელმა დააფუძნა თობელები, რომელსაც ახლა იბერები ეწოდებათ; მოსოხენები (მესხინები) დაფუძნებული არიან მოსოხის მიერ. ახლახან მათ კაპადოკიელები ეწოდათ, ხოლო ძველი მათი სახელწოდების ნიშანიც ემჩნევათ; რამეთუ მათ აქვთ დღესაც ქალაქი მაზაკა, რომელიც ნათელყოფს იმათთვის, ვისაც შეუძლია გაიგოს, რომ ოდესღაც ასე ეწოდებოდა მთელ ტომს". ი. ფ. „იუდეველთა ომში" (I ს. დასასრ.) აღნიშნავს, რომ „ჰენიოხები და კოლხები, ტავრები და ბოსფორელები, საერთოდ პონტოსა და მეოტიდის გარშემო მცხოვრები ხალხები, რ-ებიც წინათ საკუთარ მბრძანებლებსაც არ ცნობდნენ, ახლა მორჩილებაში იმყოფებიან 3000 ჰოპლიტისა (ქვეითი ჯარისკაცი) და 40 სამხედრო ხომალდის ძალით". ი. ფ-მა შემოინახა ცნობები I ს. 70-იან წლებში ალანების ლაშქრობის შესახებ: „ალანებმა, განიზრახეს რა მიდიაში შეჭრა, მოლაპარაკება გამართეს ჰირკანიის მეფესთან, რომელიც ფლობდა თავის

დროზე ალექსანდრე მაკედონელის მიერ რკინის კარით ჩაკეტილ გადასასვლელს. ჰირკანიის მეფემ გაატარა ისინი და ალანების დიდი ლაშქარი შეიჭრა მიდიაში... ასე მიაღწიეს მათ სომხეთს" (მკვლევართა აზრით, ჰირკანიის მეფეში უნდა იგულისხმებოდეს იბერიის მეფე).

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ალ. გამყრელიძისა და ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1961.

ლიტ.: ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, თ. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1983; ი ნ ა ძ ე მ., იბერიისა და რომის ურთიერთობა ახ. წ. II ს. პირველ ნახევარში, «საქართვ. მეცნ. აკადემიის ისტორიის ინ-ტის შრომები», ტ. 1, თბ., 1955; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.

ლ. მანიავა